სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 154

2022 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

„2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 6 ივნისის N100 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 11 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (N895338) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 11 აგვისტოს №154 ბრძანებით

2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	**პროექტის შიფრი**	**პროექტის სათაური**	**კონკურსიდან მოხსნის მიზეზი**
1	PHDF-22-9214	დასავლეთ საქართველოს თერმული წყლების საბადოების თბოენერგეტიკული პოტენციალის შეფასება და ამ რესურსის ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში გამოყენების პერსპექტივა	პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ"), უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის, ბ.მ - ის მიმართ დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ) და კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1 ქვეპუნქტი „ზ"), კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 5, პუნქტი 4) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
2	PHDF-22-9091	ტერიტორიული მოწყობა საქართველოში - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამომავლო გზა	პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილთან მიმართებით დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ"; კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 3), დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი"), პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 3, პუნქტი 4), უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის მ.ჰ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ" და კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ") გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი

3	PHDF-22-9112	ნაწლავის მიკრობიოტის დისბიოზის გავლენა ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების მიმდინარეობაზე და მისი კორექცია	დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობასა და ჯიმუსის ბაზაში რეგისტრირებულ პირთა შორის შეუსაბამობის გამო - სტუდენტის ცნობაში მითითებულია სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად გ. ჯ, რაც არ შეესაბამება ჯიმუსში სადოქტორო პროგრამის ხელმღვანელად მითითებულ პირებს (გ. ს, გ. ბ); სტუდენტის ცნობაში დისერტაციის თანახელმძღვანელად მითითებულია გ. ბ, რომელიც ჯიმუსის ბაზაში დისერტაციის თანახელმძღვანელად არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად ვერ მოწმდება მის მიმართ კონკურსის პირობებით მოთხოვნილი CV-ები (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ"). დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
4	PHDF-22-2530	არაგამტარი ობიექტების დეტექტირება მაღალი გამტარებლობის ნიადაგში	დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობასა და ჯიმუსის ბაზაში რეგისტრირებულ პირთა შორის შეუსაბამობის გამო - სტუდენტის ცნობაში დისერტაციის თანახელმძღვანელად მითითებულია მ. პ, რომელიც არ არის შესაბამისობაში ჯიმუსის ბაზაში დისერტაციის თანახელმძღვანელად რეგისტრირებულ პირთან - ლ.შ-სთან, შესაბამისად ვერ მოწმდება დამტკიცებული დისერტაციის თანახელმძღვანელის მიმართ კონკურსის პირობებით მოთხოვნილი CV-ები (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ"). დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
5	PHDF-22-3431	საქართველოს უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ბილინგვური სკოლამდელი განათლების დასანერგად არსებული სოციალური გარემოს მზაობისა და როლის შეფასება	უცხოელი კონსულტანტის ა.გ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
6	PHDF-22-4931	სეისმომედეგი მეწყერშემაკავებელი კონსტრუქცია	დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ ცნობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი") ვერ დგინდება შესაბამისობა ჯიმუსში რეგისტრირებულ პირებთან და ვერ მოწმდება მათთვის კონკურსის პირობებით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი

7	PHDF-22-7261	პანკრეასის კუნძულების ტრანსპლანტაცია პანკრეასის კიბოს ექსტრაცელულარული მატრიქსიდან მომზადებულ ჰიდროგელში	პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 3, პუნქტი 4), კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 5, პუნქტი 4) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
8	PHDF-22-3691	დედის სისხლში ტყვიის ზეგავლენა ინტრა და პოსტნატალური პერიოდის მიმდინარეობაზე	საპროექტო წინადადებასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“), პროექტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილთან მიმართებით დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ“), სტუდენტის ცნობაში დისერტაციის თანახელმძღვანელად მითითებული პირი ჯიმუსის ბაზაში არ არის რეგისტრირებული, შესაბამისად ვერ მოწმდება მის მიმართ კონკურსის პირობებით მოთხოვნილი CV-ები (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“), კონსულტანტის მიმართ დადგენილი ხარვეზების (კონკურსის პირობების მუხლი 2, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“, კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
9	PHDF-22-1639	სტრატეგიული ლიდერობის საკითხის გამოკვლევა საქართველოს ბაზარზე მოქმედ კომპანიებში	უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის მ. მ-ის თანხმობის წერილთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
10	PHDF-22-2703	ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მართვის თავისებურებების შესწავლა სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულ ორგანიზაციებში	უცხო ქვეყნის მოქალაქე კონსულტანტის მ. მ-ის თანხმობის წერილთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“) გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
11	PHDF-22-6771	აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების საპროფიტები	პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო - დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, დგინდება შეუსაბამობა დოქტორანტის სასწავლო სემესტრსა და პროექტის ხანგრძლივობას შორის (კონკურსის პირობების მუხლი 3, პუნქტი 4), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი

12	PHDF-22-6733	აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგებში ათავისუფლად მცხოვრები აზოტფიქსატორი ბაქტერიების გავრცელების თავოისებურებანი	პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო - დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, დგინდება შეუსაბამობა დოქტორანტის სასწავლო სემესტრსა და პროექტის ხანგრძლივობას შორის (კონკურსის პირობების მუხლი 3, პუნქტი 4), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
13	PHDF-22-2757	აღმოსავლეთ საქართველოს ვენახების ვაზის ზოგიერთი საწარმოო ჯშების რიზოსფეროს მიკროფლორაზე აგროქიმიური ღონისძიებების გავლენა	პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებით დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო - დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლის შესახებ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, დგინდება შეუსაბამობა დოქტორანტის სასწავლო სემესტრსა და პროექტის ხანგრძლივობას შორის (კონკურსის პირობების მუხლი 3, პუნქტი 4), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი
14	PHDF-22-4487	ტოქსიკური მასკულინობა თბილისის ცენტრალურ უბანში და მისი საზიანო გავლენა ქალებზე, ლგბტქი ადამიანებსა და კაცებზე	უცხოელი კონსულტანტის მ. ბ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მუხლი 2, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხარვეზი დარჩეს განუხილველი